პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, მეერთდით!

შაბათი, 19 სექტემბერი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

წითელი ალმაფი

212 (910) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილების უთვალოდღიური გაზეთი

რედაქც. მიხამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩ ელმეური 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომ3. სტრ

სალამი ახალგაზრდა სტუმრებს.

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ავსტრიის მუშათა ახალგაზრდობის წარმომადგენლები. მათი მიზანი ისეთივეა, რაც აქამდე ჩამოსულ სხვა და სხვა ქვეყნის მუშური და მასწავლებელთა დელეგაციებისა. საბჭოთა კავშირის ცხოვრებით, მისი სინამდვილით და მუშაობით დაინტერესებულია მუშათა კლასთან ერთად აგრეთვე მშრომელი ახალგაზრდობაც. დასავლეთის ახალგაზრდა მუშებს, რომლებიც რევოლიუციონური აღფრთოვანებით არიან აღვსილი სურთ გაიგონ, რამდენათ სიმართლეს შეეფერება ყველა ის საზიზღარი ცნობები, რომელსაც მათ აწვდის ბურჟუაზიულ და შემთანხმებლების პრესა.

ეს სურვილი სისრულეში მოიყვანა ავსტრიის მუშათა ახალგაზრდობამ, რომელმაც გამოგზავნა საბჭოთა კავშირში ყოველივე სიმართლის გასაგებათ თავისი დელეგაცია. დელეგატებმა მოინახულეს საბჭოთა კავშირის დიდი ცენტრები. დღეს ისინი საბჭოთა საქართველოში იმყოფებიან. როგორც ყველა დელეგაციებს, ისე ამათაც მუშურ-გლეხური საქართველო და მთელი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა გულახდილად ეუბნება: „კეთილი იყოს თქვენი მოსვლა ჩვენს საბჭოთა რესპუბლიკაში. დაწვრილებით გაეცანით ყოველივეს, შეადარეთ ბურჟუაზიის და სოციალ-გამყოფელების მიერ ნალაყევი ჩვენს ნამდვილ ცხოვრებას, ჩვენ ნამაგარს და შემდეგ სთქვით სრული სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!“

სიმართლე კი ისაა, რომ საბჭოთა ქვეყანა ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მიიმართება წინ აღორძინების გზაზე სოციალიზმისაკენ. და რომ ამ საერთო აღმშენებლობაში მხურვალე მონაწილეობას იღებს მთელი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა.

მოუყევით ძვირფასო სტუმრებო! ამის შესახებ თავის ძმებსა და ამხანაგებს. გაფანტეთ ბურჟუაზიის და სოციალ-გამყოფველების მიერ შექმნილი სიცრუის და პროვოკაციის ნისლი. ამით თქვენ ხელს შეუწყობთ დასავლეთის მუშური ახალგაზრდობის დაახლოვებას საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობასთან.

მართალია ამ მხრივ ჩვენს ახალგაზრდა სტუმრებს ბევრი ბრძოლა მოუწევთ, მაგრამ მათი ვალია მიუხედავათ ყოველ-გვარი სიძნელეებისა და დაბრკოლებებისა, ხელი შეუწყონ მუშათა ახალგაზრდობის დარაზმვას კომუნისტური წითელი დროშის ქვეშ კაპიტალიზმთან სამკვდრო სასიცოცხლო ომის საწარმოებლად.

ქართული წითელი ჯარი, რომელიც ხორცი და სისხლია საქართველოს მუშების და გლეხების, მუურვალედ ესალმება დასავლეთის მუშური ახალგაზრდობის წარმომადგენლებს და მოუწოდებს მათ მთელი თავისი ენერგიით და ძალღონით ხელი შეუწყონ საერთაშორისო რევოლიუციონური მშრომელი ახალგაზრდობის მთლიანობას და მჭიდროთ შეკავშირებას.

ბრძოლა იმპერიალიზმის მონობის წინააღმდეგ.

სირიაში აჯანყებამ იმპერიალისტური საფრანგეთის წინააღმდეგ მეტად ფართე ხასიათი მიიღო. აჯანყებული დრუზები თავგამოდებული უტიენენ საფრანგეთის ჯარებს და დიდ ზიანსაც აყენებენ მათ.

რადიოს გადმოცემით დრუზებმა შესძლეს საფრანგეთის 12 პეროპლანის ჩამოგდება. ამასთანავე მათ ალყა შემოარტყეს რამოდენიმე ციხე-ქალაქებს და მოიმწყვდიეს შიგ ფრანგები. რაც დღე მიდის აჯანყება უფრო და უფრო ფართოვდება და ედება მთელ სირიას. ამ გარემოებამ ძლიერ აალელვა საფრანგეთის მთავრობა. მან გაგზავნა თავისი ფერადი ჯარები (დამონავებულ კალონიების მცხოვრებლებისაგან შემდგარი ჯარი), მაგრამ არც ამან უშველა მას.

იგივე რადიო გადმოგვცემს, რომ ეს ჯარები გადადიან აჯანყებულების მხარეზე და იარაღს თვით ფრანგების წინააღმდეგ მიმართავენ.

ეს დიდი მნიშვნელობის მოვლენაა. ის გვიჩვენებს ჩვენ მას, რომ უცხოელ ბატონებისადმი სიძულვილმა დაჩაგრული ერებში უმაღლეს წერტილს მია ღწია.

საფრანგეთის კაპიტალისტებს ბევრი ერები ყავთ დამონავებული. როცა ერთი აჯანყდება ის სცდილობს მეამბოხე მეორე-ასეთივე დამონავებული ერის საშუალებით დაამარცხოს. ასევე მოიქცა მტაცებლური იმპერიალიზმი ამ შემთხვევაშიც.

მან დრუზების წინააღმდეგ გაიყვანა სირიელები. მაგრამ მოსტყუვდა იმედში.

სირიელებმა ბრძოლაზე სასტიკი უარი განაცხადეს და ხელსაყრელ დროსაც დრუზების მხარეზეც გადავიდენ. და არა თუ სირიელები უთანაგრძნობენ დრუზებს, არამედ ყველა დაჩაგრული კალონიები.

აი მაგალითად რადიო გადმოგვცემს, რომ დრუზების აჯანყებამ აღფრთოვანებით და სიხარულით შეხვდენ ეგვიპტეშია.

გათავხედებულ იმპერიალიზმის წინააღმდეგ დაჩაგრული ერები იწყებენ მთლიანი ფრონტის შექმნას. საფრანგეთის იმპერიალისტები უკვე ვედარ შესძლებენ ამ ერების ერთმანეთის წინააღმდეგ წაქეზებით მათ დამორჩილებას და გაყვლეფას.

დამონავებულ კალონიების აჯანყება ფართოვდება და გაბედგურებით ემუქრება იმპერიალიზმის ბატონობას ახალშენებში.

ცხადია საფრანგეთის იმპერიალისტები მიმართავენ ყოველგვარ საშუალებას, რომ ჩააქრონ აჯანყება. რაკი ფერადი ჯარები ღალატობენ მათ, ისინი დრუზების დასამარცხებლად გადმოასხმენ საფრანგეთის მუშებიდან და გლეხებისაგან შემდგარ ჯარს. მაგრამ აქ თავისი სიტყვა უნდა სთქვას საფრანგეთის პროლეტარიატმა.

განთავისუფლების გზაზე დამდგარ აღმოსავლეთს მან მხარი უნდა დაუჭიროს და მთელი თავისი შეგნებით და ძალით უნდა შეებრძოლოს საფრანგეთის იმპერიალიზმის დაუსრულებელ სისხლიან ავანტიურას.

უნდა აღინიშნოს რომ საფრანგეთის პროლეტარიატი და მისი ავანგარდი ამ მხრივ ენერგიულად მუშაობს და ის კიდეც მიაღწევს მიზანს.

დაჩაგრულ ერების და დასავლეთის პროლეტარიატის ერთიანი ფრონტი შესძლებს გამხეცებული იმპერიალიზმი ფრთების შეკვეცას.

—ე.

ახალი რადიო-ამბები

ჩინეთის ამბები.

გაფიცვები მაღაროებში.

გენერალი ლინ-ჩი-ლიანი აუწყებს პეკინის მთავრობას რომ გაფიცვები მხოლოდ ერთ მაღაროშია, მიღებულ ზომების გამო დანარჩენებში ჩაქრობილია. ჯარმა დაპატიმრა მთელი წყება მუშებისა. მაღაროების ადმინისტრაცია მზადაა დაკმაყოფილოს მუშების მოთხოვნილება პოლიტიკურ მოთხოვნილებების გაურჩევლად.

სამხედრო წესები შანსის პროვინციაში.

სამხედრო წესები შან-სის პროვინციაში კრიტიკული ხდება. ავტორიტეტულ წრეებში ფიქრობენ, რომ ხე-ნანის პროვინციის გენერლების შემოჭრა შან სიში იმ მიზნით, რომ გაამაგრონ სახალხო ჯარის მდგომარეობა, შეიძლება გამოიწვიოს კონფლიკტი გენერალ ლინ-ჩი-ლინთან, რაშიც შესაძლებელია ჩათრეულ იქნეს მუკდენის ყველა სამხედრო ძალები და მოხდეს სასტიკი შეტაკება სახალხო ჯარსა და ჩან-ზო-ლინთან. ხენანში, შან-სიში და ჯილიში სწარმოებს სამხედრო სამზადისი.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყრილობაზე.

სოციალ-დემოკრატებს დიდი სურვილი აქვთ მთავრობაში მონაწილეობისა.

რეიხსტაგის სოციალ—დემოკრატიულ ფრაქციის წარმომადგენელის კეილის სიტყვით გაიხსნა ოთხშაბათის სხდომა.

კეილი იმ აზრს ატარებს, რომ საკითხი ბურჟუაზიულ მთავრობებში მონაწილეობისა, რომელიც ყრილობაზე პირდაპირ იყო დასმული, ტაქტიკურ მოსაზრებით სრულიად არ უნდა იქნეს გადაწყვეტილი. კერძოდ კი „ცენტრის პარტიის შესახებ მომხსენებელი მოუწოდებს იქონიონ კონტაქტი „კეთილსინდისიერ ბურჟუაზიულ თანამგზავრებთან“.

პაული ლემეთ თავისი ოპოზიციონურ სიტყვაში აღნიშნავს. რომ კეილის სიტყვაში აშკარად მოსჩანდა სურვილი მთავრობაში მონაწილეობისა და აფრთხილებს ყრილობას კოალიციისაგან (სოციალ—დემ. და ბურჟუაზიულ პარტიათა კავშირი), რომელიც სახელს გაუტეხს მშრომელთა მასებში პარტიას.

დელეგატი ზეიფვიციი უწუნებს ფრაქციას უვარგის ოპოზიციონურ მუშაობას.

საერთოო დელეგატები მოითხოვენ სოციალ-დემოკრატულ პარტიის გამიჯვნას ბურჟუაზიულ პარტიებისაგან და მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატის დაცვას.

დეპუტატი ბრეშტეიდი იცავს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ტაქტიკას სპარლამენტო არჩევნების დროს.

ოპოზიციის რეზოლიუცია ბურჟუაზიულ პარტიებისაგან გამიჯვნის შესახებ უარყოფილი იქმნა 285 ხმით 81 ხმის წინააღმდეგ.

გულგარეთის სოც.-დემოკრატიულ პარტიის ყრილობა

ყრილობაზე პარტიის ხელმძღვანელთა შორის მოსალოდნელია განხეთქილება.

3 ოქტომბრისათვის დანიშნულია ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყრილობა. პარტიის პრეზიდიუმი წინასწარ 20 სექტემბრიდან დაიწყებს სხდომებს ზომების გასამომუშავებლად, რათა აცილებული იქნას ოპოზიციასთან შეტაკება. ოპოზიცია ემზადება ბოლო მოუღოს მთავრობის დახმარების პოლიტიკას, რადგან ის პარტიულ მასებში დიდ უკმაყოფილებას იწვევს. დეპუტატ ჩერნიგოვმა გამოუშვა ბროშურა, რომელიც მიმართულია პარტიის პრეზიდიუმის წინაალმდეგ, რის გამო მას საყვედური გამოეცხადა. ამ უთანხმოებათა გამო მოსალოდნელია პარტიის ყრილობა მღელვარე დარჩეს.

ინგლისის და იაპონიის გაზეთების ახალი პროვოკაცია.

იაპონიის და ინგლისის გაზეთები, რომლებიც გამოდიან ჩინეთში, იტყობინებენან დაწვრილებით შემუშავებულ გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირსა და მონღოლეთის შორის რკინის გზის გაყვანის შესახებ ურგასა და ჩიტას შუა. გაზეთების ცნობით ხელშეკრულება დადებული იქნება 50 წლის ვადით, ამასთანავე სამი მეოთხედ მთელი თანხისას სდებს რუსეთი, რომელიც გამოხატულია გაზეთებში მომავალ ბატონ-პატრონად ამ რკინის გზის.

ეს ცნობა პროვოკაციაა და არ შეეფერება სინამდვილეს

ინგლისის პოლიტიკის ახალი კურსი ახლო აღმოსავლეთში.

ფელდმარშალი პლიუმერი.

ფელდმარშალ პლიუმერის პალესტინის გენერალურ კომისრად დანიშვნა შეცვლაა ინგლისის პოლიტიკის ახლო აღმოსავლეთში. არაბებისა და ებრაელების მოსახლეობის შორის არსებული ინტერესთა წინააღმდეგობამ ერთის მხრივ და ორივე ხალხების ბურჟუაზიის შიშმა, რომელიც გამოწვეულია მუშათა მოძრაობის გაძლიერებით მეორეს ხრივ, განმტკიცეს ინგლისის მდგომარეობა პალესტინაში.

აბზედრებს რა პალესტინის მოსახლეობის ერთ ნაწილს მეორეს წინააღმდეგ, ინგლისმა მიაღწია მას, რომ არაბები და ებრაელები ელაქუცებიან ინგლისის ხელის ფლებს. მოსალოდნელია, რომ ასეთ პირობებში ლორდ პლიუმერი მიანიჭებს პალესტინის ბურჟუაზიას თვითმართველობას, რასაკვირველია მეტად შეზღუდულს. ასეთი ნილაბით პალესტინის კომისარი ჩაკრობს რევოლიუციონურ მოძრაობას ხმარეში, რადგან ამაში მას ხმარს დაუჭერს არაბების და ებრაელების ბურჟუაზია.

პლიუმერმა გამოსცა მთელი რიგი დეკრეტებისა, რომლებიც ანიჭებენ ინგლისის ადმინისტრაციის შეუზღუდველ უფლებას მუშების მიმართ ბრძოლაში.

პალესტინის მძიმე ეკონომიური პირობები კიდევ უფრო გაუარესდა. ფასების ზრდამ და მძიმე გადასახადებმა გამოიწვიეს პალესტინის მოსახლეობაში ძლიერი უკმაყოფილება, განსაკუთრებით გლეხებს შორის.

ორშაბათს, 21 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია ტფილისის საბჭოს შემდეგი სექციების მორიგი სხდომა.

1) კომუნალური . . . . (წითელი თეატრი),

დღის წესრიგი:

1) მოხსენება „რიოს"-ის შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

2) განათლების . . . . (აღმასკომის ოთახი № 32)

დღის წესრიგი:

1) სამი თვის სამუშაო გეგმის განხილვა,
2) სკოლებთან არსებული დამხმარე საბჭოების დებულების საბოლოო განხილვა,
3) განყოფილების ინფორმაცია სასწავლო წლის დაწყების წინასწარ მუშაობაზე,
4) მიმდინარე საკითხები.

3) ჯანმრთელობის . . . . (აღმასკომის ოთახი № 57)

დღის წესრიგი:

1) სექციის ბიუროს მოხსენება სექციის მომავალი მუშაობის გეგმის შესახებ,
2) მოხსენება 1925—26 საბიუჯეტო წლის გასავლის ხარჯთ აღრიცხვის შესახებ,
3) მიმდინარე საკითხები.

4) სოფ. მუშაობ. და საბჭ. აღმშენებ. . . აღმ. ოთ. №

დღის წესრიგი:

1) საქონლის ჭირთან ბრძოლა მაზრაში,
2) მოხსენება მიწათ-მოწყობის შესახებ,
3) მიმდინარე საკითხები.

V) სამხედრო—(აღმასკომის დარბაზში).

დღის წესრიგი:

1) სექციის ბიუროს მოხსენება თავის მუშაობის შესახებ,
2) სექციის სამი თვის სამუშაო გეგმის განხილვა,
3) მიმდინარე საკითხები.

თავის სექციების მიხედვით ყველა საბჭოს წევრთა და სწრება საგალდებულოა აღნიშნულ დროზე.

ტფილისის საბჭოს სექციების მუშაობის ხელმძღვანელი **არ. რუხაძე.**

სამხედრო საქმე შენიღბვა.

როგორ უნდა ხდებოდეს ხოხვით მოძრაობა.

წერილი მეოთხე.

გადარბენის გარდა, რაზედაც ჩვენ წინა წერილებში გვქონდა ბაასი, მებრძოლს მოუხდება ხოხვით გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეზე. ასეთ გადასვლის საშუალების უმთავრესად მიმართავენ ახლო მანძილზე ბრძოლის დროს, როცა გადარბენა მთელი ტანით შეუძლებელი ხდება გაშლილ ადგილის და ძლიერი მტრის ცეცხლის გამო. ხოხვით მოძრაობა საშუალებას აძლევს მებრძოლს ის შეუჩნევეველი იყოს მტრის მოთვალთვალეს მიერ.

ხოხვით გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეზე მეტად ძნელია და მებრძოლების უმრავლესობა ამას ვერ შეჩერდიან ისე, როგორც წესი და რიგია. ამის კარგად შესწავლა მოითხოვს ხანგრძლივი ვარჯიშობას მინდორში მეცადინეობის დროს

ვიცით რა, რომ მომავალ ომებში ხმარებაში იქნება აუარებელი სხვა და სხვა სისტემის იარაღები, ამიტომ საჭიროა მშვიდობიან დროს ვარჯიშობა ხდებოდეს ხოხვაში, რადგან ასეთი მოძრაობა შეიძლება დარჩეს ერთად ერთი საშუალებად ნაწილის შეტევის ადგილას მისაყვანად. გადასვლა ხოხვის საშუალებით შეიძლება სანშაირად: პლასტუნების საშუალება—ხოხვა ზღვის ღორსავით და ხოხვა თავდადმა.

პირველი საშუალება (პლასტუნის) მდგომარეობს იმაში, რომ მსროლელი წვება მუცელზე და გულზე და ეკვრის მიწას მთელი ტანით; ნახევრად მოკეცილი უნდა ქონდეს. ხელები. ხოხვისათვის საჭიროა ერთი ფეხის (მარჯვენა თუ მარცხენა) მოღუნვა და მისი მიწაზე მიბჯენა, მოღუნულ ფეხის გამართვა საშუალებას აძლევს მოკეცილ ხელებზე დაწოლილ ტანს წინ წაიწიოს. ამრიგად ხან მარჯვენა და ხან მარცხენა მოღუნულ ფეხის გამართვით მსროლელი წინ მიიწევს. შაშხანა უჭირავს მარჯვენა ხელში, სავაზნე კოლოფი მიმართულია მინდვრისაკენ. მოძრაობის ეს საშუალება ძალიან სწრაფია და არც ლალავს მსროლელს და კარგადაც იფარავს მტრის მოთვალთვალის თვალებისაგან. პლასტუნების წესით ხოხვისათვის საჭიროა სახეში იქონიოთ შემდეგი: ტანის მოძრაობა არ უნდა იყოს განსაკუთრებულად შესამჩნევი წინ წაწევის დროს, მიწას არ უნდა შორდებოდეს ტანი, თავი დაღუნული უნდა იყოს, არ უნდა ასწიოთ მაღლა ხელები და შაშხანა.

მეორე საშუალება—ზღვის ღორსავით ხოხვა—გამოიხატება იმაში, რომ მხოხავი მსროლელი თავისუფლად წევს მიწაზე, ფეხები გამართული აქვს, ხელები წინ გაშვერილი, რომელშიაც უჭირავს შაშხანა. მოძრაობა ხდება ხელების საშუალებით, იხმარიებს ფეხებს თითებს, ასეთი საშუალება ნელია, მომაწყენი, მაგრამ ამავე დროს იძლევა საშუალებას მიწას არ მოსცილდე და დაფარული იქნე მტრისაგან.

მესამე საშუალება—თავდადმა ხოხვა—მიდებულია ისეთ შემთხვევებში, როცა მსროლელი არის ორი გაშლილ ადგილას, არამედ ვიწრო ჩაღრმავებულ ადგილას. მსროლელი გაშხართულია მიწაზე, ფეხები ერთად აქვს, დაცილებული არ უნდა იყოს ერთმეორეს, მოძრაობა ხდება ძხრებით ფეხის წვერის საშუალებით, თავი ძალიან დაბლა უნდა ქონდეს დაწეული, ტანი არ უნდა ქანაობდეს, თავი და ფეხები არ უნდა ასწიოთ მაღლა.

ი. ბარ.

შვებული წითელ არმიელი და სოფელი

შვებულებაში მიმავალ პარტიის წევრის ამოცანები.

ამ ჟამად პარტიული შემადგენლობა ნაწილებში საგრძნობ ძალას წარმოადგენს. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა საკმაო რიცხვი მიიღეს კანდიდატებად და მათ შორის ბევრიც დამტკიცდა პარტიის წევრებათ. პირველი დივიზიის შემადგენლობიდან უვადო შვებულებაში ანთავისუფლებენ პარტიის 148 წევრს და კანდიდატს. ეს ის ამხანაგებია, რომლის დიდი უმრავლესობა უპარტიოებათ მოვიდენ წ. ჯარში და აქ გაეცვნენ კომპარტიის მუშაობას, ამ რიგათ წითელ ჯარში მშრომელი გლეხის შვილი დაუახლოვდა პარტიას და გახდა მისი რიგების აქტიური მუშაკი. პირველი დივიზია ამ წელს სოფლის უგზავნის წ. ჯარის შემადგენლობაში გაწვრთნილ რევოლიუციისათვის დავდადებულ 148 პარტიის წევრს.

შეიძლებოდა კიდევ მეტის მიღება, მაგრამ თვით ორგანიზაციებმა მეტის გადმოცემა ვერ მოასწრეს დასამტკიცებლათ. და რომელიც დაუმტკიცებელია პარტიული კომისიის მიერ, მას კოლექტივებში გადაგზავნიან ადგილობრივ მაზრებში და იქ იქნებიან დამტკიცებული.

აქ უნდა მივაქციოთ ყურადღება პარტიულ შემადგენლობას, რომლებიც მიდიან უვადო შვებულებაში. მათი ამოცანები სოფლათ, ერთობ დიდია. არ უნდა დაივიწყოს არც ერთმა პარტიულმა ამხანაგმა, რომ ჩვენი მუშაობა სოფლებში საკმოდ მოისუსტებს, არა გვაყვს იმდენი მომზადებული ამხანაგები, რომლებიც შეიძლებოდეს სოფელს გაუნაწილოთ.

სოფლის ორგანიზაციების მუშაობას სჭირდება გამოცოცხლება, ორგანიზაციებს გაჯანსაღება, დისციპლინის განმტკიცება. ყველა ამას მივიღწევთ მაშინ, როდესაც ჩვენი პარტიული ამხანაგები თავიანთ სოფლებში გამოიჩენენ აქტივობას და დაიყენებენ გაჯანსაღების გზაზედ. ადგილობრივი ხასიათის კითხვები სოფლის სინამდვილეში ერთობ ბევრია, რომელთაც სჭირდება მოგვარება და ყველა ამისათვის, საჭიროა დაკვირვებული, გეგმიანი მუშაობის წარმოება. ამ საქმეს მარტო უჯრედი ვერ გადაწყვეტს. აქ უჯრედმა უნდა მიიღოს ინიციატივა და მთელი მცხოვრებლები უნდა აქტიურათ ჩაბაბის ადმშენებლობითი მუშაობაში.

ამას უჯრედი მიაღწევს მაშინ, თუ ის თავის ამა თუ იმ დადგენილებას თვითონ გაატარებს ცხოვრებაში, ე. ი. უჯრედმა რომ დაადგინოს გზის შეკეთება, მან სხვას კი არ უნდა უბრძანოს მისი გაკეთება, არამედ თვით უჯრედის შემადგენლობამ უნდა აჩვენოს მაგალითი და მას სხვებიც გაჰყვება. ასეთი მაგალითის დასახელება ასობით შეიძლება, დავასახელოთ, მაგრამ ეე მგონია, ამ შემთხვევაში არ არის საჭირო, რადგან ამის გამოცდილება საკმაოთ ექნებათ სოფლათ მიმავალ ამხანაგებს.

კომუნისტ შვებულებს მოუთმენლად ელის სოფლები, სადაც მათ უნდა აწარმოვონ ისეთი მუშაობა, როგორსაც მოითხოვს ლენინის კომუნისტური პარტია.

ს. ლომიძე.

მეთოდიური სემინარები პირველ ქართ. მსრ. დივიზიაში და მისი შედეგები.

ა. წ. 7 აგვისტოს ჯგ-ში გაიხსნა მეთოდიური სემინარები ჯგუფის ხელმძღვანელებისათვის.

სასურველი იყო მეთოდიური კურსები მოეწყინა გარდა ჯგუფის ხელმძღვანელებისა, ყველა პოლიტხელებს და იმ ოცეულის თავებს, რომლებიც აწარმოებდნენ წ. კ. უცოდინართა ლიკვიდაციას და პოლიტმეცადინეობას; მაგრამ ეს უკანასკნელები რადგან უშუალოდ იყვნენ დაკავშირებული სამხედრო სწავლებასთან, ტეხნიკურად მოუხერხებელი შეიქნა მათი დასწრება მეთოდიურ სემინარებზე.

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შევსძელით რამოდენიმე პოლიტხელი ჩაგვება ასეთ მუშაობაში.

მეთოდიურ სემინარებს ყველა ნაწილებიდან დაესწრო 55 მსმენელი. მსმენელების ეს რაოდენობა, როგორც ვხედავთ, ძალიან ცოტაა შედარებით ჯგუფების ხელმძღვანელების საერთო რაოდენობასთან. მაგრამ ჩვენთვის, დღევანდელ პირობებში, ესეც საკმარისია. 55 ჯგუფის ხელმძღვანელების გადამზადება პირველად დიდი და მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

თანახმად ამიერ-კავკასიის წითელ დროშოვან არმიის პოლიტმმართველობის დირექტივებისა, დივიზიის პოლიტგანმა წინდაწინ შეადგინა სემინარული მუშაობის თვიური გეგმა. განაწილებულ იქნა მთელი პროგრამები შესაფერისად მომზადებულ ამხანაგებზე და გეგონა მუშაობისათვის პროგრამებიც მზად იყო.

მაგრამ მუშაობის დაწყების პირველ დღიდანვე ჩვენ შეგვხვდა მთელი რიგი დაბრკოლებებისა.

ჩვენ ვფიქრობდით მინევრები გაგრძელდებოდა მთელი თვის განმავლობაში და მომუშავეების განთავისუფლება შესაძლებელი გახდებოდა, მაგრამ სინამდვილეში ასე არ მოხერხდა.

პირველ ხანებში მინევრებზე გასვლა ძალიან მოკლე ვადიანი იყო. სემინარული მუშაობის გახსნა გულისხმობდა ნაწილებში მუშაობის შეწყვეტას. ასეც რომ არ ყოფილიყო, პოლიტმომუშავეები მინევრების დროს კიდევ უფრო მეტად საჭირო შეიქნენ, რის გამოც სიმხკომები სულ იმის ცდაში იყვენ, რაც შეიძლება მომუშავეების ნაკლები რიცხვი გიეყვანათ მათი ნაწილებიდან.

მასთან 24 აგვისტოსთვის მოწვეული იყო უპარტიო წითელ არმიელთა კონფერენცია და ესეც დიდად გვაფერხებდა.

ასე რომ მეთოდიური სემინარების ჩაშლისათვის პირობები მზად იყო.

მაგრამ პოლიტგანი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ სემინარული მუშაობა მოგვცემდა საკმაო დიდ შედეგებს და ამ საქმის მოწყობისათვის არ მერყეობდა. კატეგორიულად მოითხოვდა ნაწილებისაგან მსმენელებს და უნდა ითქვას, რომ ასეთი მტკიცედ მიდგომამ ამ საქმისადმი დიდი ნაყოფი გამოიღო.

ყველა ზემოდ დასახელებულ მიზეზების გამო მუშაობის ჩატარება იმ სახით, რა სახითაც მას მოველოდით, ვერ მოხერხდა.

მუშაობის პროცესში საჭირო შეიქნა შეგვეტანა ზოგიერთი ცვლილებები, როგორც რეგლამენტში, ისე პოლიტმმართველობებიდან მიღებულ პროგრამაში.

მთელი სემინარული მუშაობა ნაანგარიშევი იყო ერთი თვით, 7 აგვისტოდან—7 სექტემბრამდე. მაგრამ რაკი ამდენი ხნით ნაწილები მსმენელებს ვერ დაგვითმობდენ მინევრების მოახლოვების გამო, სამეცადინო ცხრილი შეცვლილ იქნა და მუშაობის დამთავრება მოხდა 25 აგვისტოს.

ასე რომ მეთოდიური სემინარები მიდიოდა სულ 20 დღეს, ნაცვლად ერთი თვისა; მაგრამ ამით მუშაობა დადად არ შეფერხებულა და სემინარების მუშაობამ მიზანს 100 პროცენტით თუ არა, 90 პროცენტით მაინც მიაღწია.

(გაგრძელება იქნება)

ს. ლაპარტავა.

ტერ-შეკრებაზე

ჩემი შთაბეჭდილება.

6-ხე ტერლეგიონი.

დილის 6 საათი იყო. ჩავიცვი ტანსაცმელი და გავსწიე მე-6 ლეგიონის უაზარმისაკენ. მე მახსოვდა ჩემი მოვალეობა, რომ 4 ენკენისთვეს დილის 7 საათზე უნდა გამოვცხადებულიყავი ლეგიონის, საკავშირო ოკეანეში, რაც ავასრულეშევედი უაზარმაში გამოსაცხადებლათ. ჩამწერეს; თანდათან ცხადდებოდნენ სხვა ამხანაგებიც.

სწორე გითხრათ მე, უაზარმისა და წითელ ლაშქრის არაფერი არ ვიცოდი, რადგანაც არ მემსახურა, ახლოთ კი ვგრძნობდი, რომ რადაც მაკლდა, რადაც უნდა შემეძინა. ეს ნაკლი იყო სამხედრო ცოდნის შეძენა, უაზარმული ცხოვრების გაცნობა და წითელ არმიელის სულის-კვეთების შესწავლა.

ყველას, ტერ-შეკრებაზე ახლად მოსულებს ჩაგვაცვეს სამხედრო ტანისამოსი. იმ დღეს არაფერი. მხოლოდ მეორე დღიდან კი შეუდექით მეცადინეობას. ასეულის თავმა ახლებს აგვიხსნა წითელ-არმიის მნიშვნელობა, მოვალეობა წითელ არმიელის თუ ვინ არის ის, ან და რა მიზნით არის მოსული უაზარმაში. შემდეგ აგვიხსნა ჩვენი მოვალეობაც.

ყველაფერს თანდათანობით შევეჩვიე. დიდი ხანი არ გასულა, მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ მე და აგრეთვე ჩემთან მოსულმა ამხანაგებმაც ვიგრძენით სამხედრო მოვალეობის და დისციპლინის შეთვისება.

ვხედავ აგრეთვე როგორ აწარმოებენ წითელ არმიელებში კულტურულ მუშაობას, ეტყობათ ყველას გამოცოცხლება.

რომელ წითელ არმიელსაც არ უნდა შეეკითხოთ, თუ ვისთვის იძენს ის სამხედრო ცოდნას ან ვის იცავს, ის წამსვე გიპასუხებთ, რომ „ჩვენ წითელ არმიელები ვიცავთ მუშებს და გლეხებს“.

ყველაფერი ეს მე ვნახე და ყოველ დღე ვხედავ დიდ მუშაობას.

როდესაც დავბრუნდები სახლში, თამამათ აუხსნი სუყველას, რომ „წითელი უაზარმა“ ყოფილა სკოლა და ის უნდა გაიარონ ყველა მშრომელთა შვილებმა, საიდანაც მიიღებენ, როგორც სამხედრო სწავლას, ისე კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებას.

მე ამას ვწერ და სინამდვილეშიც ავასრულებ.

გაუმარჯოს წითელ მოლაშქრეებს და მათ მეთაურებს.

წითელ არმიელი

კ. მთვრალაშვილი.

ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲒᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲡ.

მე-5 ლეგიონი.

1902 წელში დაბადებულ არმიელებიდან, ჩვენს ლეგიონში უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყვნენ. მაგრამ მათი მისწრაფება სწავლისაკენ იმდენად ძლიერი იყო, რომ სამ თვეში შეისწავლეს წერა-კითხვა და ამ რიგად სრული ლიკვიდაცია ექნა უსწავლელობას. ამ ჟამად ჩვენ ლეგიონში კადრი შემადგენლობის წითელ-არმიელებმა თითქმის ყველამ იციან წერა-კითხვა. სამხედრო და პოლიტიკური ცოდნით სათანადოთ არიან მომზადებულნი. გუნის ფანცქალით მოელიან აბანაგები იმ დღეს, როდესაც მათ გაუშვებენ უვადო შვებულებაში და წითელ უაზარმაში შეძენილ ცოდნას გადასცემენ თავის უცოდინარ ამხანაგებს. მასთან ერთად ისინი აუხსნიან მათ ჩვენი წითელ ჯარის ცხოვრებას და წითელი უაზარმების მნიშვნელობას.

სამხკორი ო—26.

ᲗᲕᲘᲗ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ.

მე-2 საარტილერიო ლეგიონი.

ჩვენს ხაზაფხულო კლუბში შეუძლებელი იყო წარმოდგენის ჩატარება, მაგრამ ზოგიერთ ამხანაგების თოხოსნობით ამ რამდენიმე დღის წინად კლუბში მშვენივრად იქმნა მოწყობილი და 17 სექტემბერს ჩაატარეს თვითმოქმედების კონცერტული საღამო შემდეგი შინაარსით:

1) საგაუბიცო დივიზიონის მომღერალთა გუნდმა იმღერა ქართულ-ჯახური სიმღერები. იმღერეს „დაიგვიანეს“.

2) ჩატარებული იქნა ოდევილი „ტიმოთეს ლეღვი“. სრულებით შეიფერებოდა თავის როლს ამხ. შენგელაია და დიდი კმაყოფილებაც გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში.

3) საგაუბიცო დივიზიონთან ახლად დაარსებულმა სიმებიანმა ორკესტრმა შეასრულა რამოდენიმე ნომრები.

4) წაკითხულ იქმნა იუმორისტული ლექსი. წარმოთქმულ იქნა სომხური სცენები: ამხ. ამხ. შენგელაიის, ჯალალიანის და სხვების მიერ.

5) გაიმართა ცეკვაც. საუცხოოთ ითამაშეს წითელარმიელებმა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საღამოზე მონაწილეობას ღებულობდენ მხოლოდ წითელარმიელები, რამაც მაყურებლებზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა.

სასურველია ამ ამხანაგებმა ხშირად გაგვიმართონ ასეთი შინაარსიანი საღამოები, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება წითელარმიელების განვითარებისათვის.

წ. არმ. ვლ. ნავრუზაშვილი.

ᲗᲕᲘᲗ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲔ-2 ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲗᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲨᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ

ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲣᲚ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

სამხედრო პოლიტსკოლის ცხოვრებიდან.

ბანაკიდან დაბრუნების შემდეგ კურსანტები გაშვებულ იქნენ ათი დღით შვებულებაში. დაბრუნდნენ დასვენებული, მხიარული. უზიარებდნენ ერთი მეორეს მგზავრობიდან მიღებულ შთაბეჭდილებებს, უამბობდნენ სოფლის ამბებს; ზოგს გაუკეთებია მოხსენება სოფლის კრებაზე, ზოგს გაუმართავს ბაასი გლეხობასთან, ზოგსაც მოუწყვია საღამო-წარმოდგენა.

არ ჩაუვლია უნაყოფოთ მათ ყოფნას შვებულებაში, ყველას გაუკეთებია პატარა საქმე სოფლის სასარგებლოდ.

თბილისში დაბრუნებისას მათ დახვედათ სასიამოვნო ამბავი: სკოლა გადადის ახალ შენობაშია. კურსანტების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ახალი შენობა ყოველ მხრივად მოხერხებულია. საკლასო ოთახები საკმაოდ გვაქვს.

სამკითხველო, ბიბლიოთეკა, კლუბი, ოთახები წრეების საბეცადინოთ ვეწყობით ახალ შენობაში, ყველა ხალისით მუშაობს დილიდან საღამომდის დაღლილობას არავინ გრძნობს.

ამ დღეებში დაიწ. ნორმალური მეცადინეობა ყველა საგნებში.

ბიბლიოთეკა აწარმოებს გაცხარებულ მუშაობას. ეხლა სწარმოებს წიგნების წვენდა. ბევრი უვარგისი წიგნია, მოძველებული თავისი შინაარსით, ასეთები გაძევებული იქნებიან ბიბლიოთეკიდან. მხოლოდ საჭიროა, რომ ბიბლიოთეკა შეივსოს ქართულ წიგნებით. რუსულ ენაზე ბლოშმათაა წიგნები, კურსანტებმა კი არ იციან რუსული ენა. აქ საჭიროა დახმარება ცენტრალური ბიბლიოთეკისაგან.

ეწყობა კლუბიც, ახალ შენობაში გვაქვს ლამაზი სათეატრო დარბაზი. სცენა საჭიროებს მოწყობას, დეკორაციების უქონლობა გაგვიძნელებს საქმეს.

შტატების სივიწროვის გამო არა გვყავს მომდერალთა და სპორტწრეების ხელმძღვანელები.

ეს წრეები კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ სკოლისათვის, აქაც გვჭირია დახმარება სკოლის უფროსის მხრივ.

სამწყობრო ნაწილი ჩავარდა ძლიერ უხერხულ მდგომარეობაში. სკოლის შენობას არა აქვს სამეცადინო მოედანი. ეს გარემოება შეაფერხებს მეცადინეობის მსვლელობას და შეუშლის ხელს სამოსწავლო გეგმის განხორციელებას. გამოსავალი კი არის: სკოლის პირდაპირ, ორი ნაბიჯის მანძილზე, არის წითა. დროზოვან არმიის გარაჟი ამ გარაჟში მოთავსებულია უვარგისი, დამტვრეული სამბარგო ავტომობილები. გარაჟს უკავია მოზრდილი ეზო. საჭიროა, რომ ეს ავტომობილები გადატანილი იქნენ სხვა ადგილას და ეზო კი დაეთმოს სკოლას. სამწყობრო ნაწილის უფროსმა უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ ეს ეზო სასწრაფოდ იქნეს განთავისუფლებული, რათა მეცადინეობა არ შეფერხდეს.

ი—ი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲜᲗᲕᲘᲡ ᲐᲜᲑᲐᲜᲘ.

ᲛᲔ-6 ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘ.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲛᲔᲠᲛᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ

ᲛᲔᲠᲛᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ

ᲛᲝᲐᲬᲧᲝᲕᲔᲗ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲙᲣᲜᲗᲘᲡ.

1-ᲚᲘ ᲐᲠᲢᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲝ ᲑᲐᲢᲐᲠᲔᲘᲐ.

ორი კვირაა, რაც ჩვენი ლეგიონი ჩამოვიდა მანევრებიდან, მაგრამ უაზარმაში ჯერ კიდევ არ არის შესაფერად მოწყობილი ლენინის კუთხე, რომელიც ძლიერ უამაყოფილონი არიან ბატარეის წითელ არმიელები. სამწუხაროა ეს გარემოება მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ არავინ იწუხებს თავს მისი მოწყობით.

საჭიროა დაჩქარებით მიექცეს ყურადღება, ვისაც ეს ევალება, რომ დაკმაყოფილებული იქნეს წითელ არმიელთა სურვილი. უკუთხოთ გაძლება არ შეგვიძლია, იმდენად შეგვიჭეთ მას.

სამხკორი მოლითისპირელი

ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ.

პირველი ლეგიონი.

პირველი ლეგიონის 4 ხე ასეულის წითელ არმიელებს კარგა ხანია რაც შემოღებული გვაქვს საღამოობით საუბრის ჩატარება. ასეთი საუბრები ხშირად გრძელდება 1-2 საათის განმავლობაში. საღამოს ამოკითხვის შემდეგ ყველა არმიელები დასხდებიან წითელ კუთხეში და საუბრობენ სხვადასხვა საკითხების გარშემო. საუბარს უმეტეს შემთხვევაში აწარმოებს ასეულის პოლიტხელი ან ზემდეგი.

აღსანიშნავია 17 სექტემბერს შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებან ჩატარებული საუბარი, რომელმაც დაწვრილებით გაგვაცნო გზა. „ახალი სოფლის“ მნიშვნელობა, გზა. „წითელ არმიელის“ დანიშნულება და ის თუ სოფელში მისვლის შემდეგ რა უნდა ვქნათ, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება და როგორი შინაარსის წერილები უნდა მივაწოდოთ თითეულ გზეთს. ამასთანავე მოკვიწოდა გამოგვეწერა გზეთები და გავსწოით აგიტაცია გლეხებში ამავე მიზნით.

საუბარმა ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა შვებულებაში მიმავალ არმიელებზე, რომლებმაც თავის პატიოსან სიტყვაში აღუთქვეს ამხანაგს, ყველაფრის ისე გაკეთება, როგორც უფროსები და წითელი უაზარმა მოუწოდებს მათ.

წ. არმ. პაპიძე.

ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲨᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ

ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲣᲚ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

სამხედრო პოლიტსკოლის ცხოვრებიდან.

ბანაკიდან დაბრუნების შემდეგ კურსანტები გაშვებულ იქნენ ათი დღით შვებულებაში. დაბრუნდნენ დასვენებული, მხიარული. უზიარებდნენ ერთი მეორეს მგზავრობიდან მიღებულ შთაბეჭდილებებს, უამბობდნენ სოფლის ამბებს; ზოგს გაუკეთებია მოხსენება სოფლის კრებაზე, ზოგს გაუმართავს ბაასი გლეხობასთან, ზოგსაც მოუწყვია საღამო-წარმოდგენა.

არ ჩაუვლია უნაყოფოთ მათ ყოფნას შვებულებაში, ყველას გაუკეთებია პატარა საქმე სოფლის სასარგებლოდ.

თბილისში დაბრუნებისას მათ დახვედათ სასიამოვნო ამბავი: სკოლა გადადის ახალ შენობაშია. კურსანტების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ახალი შენობა ყოველ მხრივად მოხერხებულია. საკლასო ოთახები საკმაოდ გვაქვს.

სამკითხველო, ბიბლიოთეკა, კლუბი, ოთახები წრეების საბეცადინოთ ვეწყობით ახალ შენობაში, ყველა ხალისით მუშაობს დილიდან საღამომდის დაღლილობას არავინ გრძნობს.

ამ დღეებში დაიწ. ნორმალური მეცადინეობა ყველა საგნებში.

ბიბლიოთეკა აწარმოებს გაცხარებულ მუშაობას. ეხლა სწარმოებს წიგნების წვენდა. ბევრი უვარგისი წიგნია, მოძველებული თავისი შინაარსით, ასეთები გაძევებული იქნებიან ბიბლიოთეკიდან. მხოლოდ საჭიროა, რომ ბიბლიოთეკა შეივსოს ქართულ წიგნებით. რუსულ ენაზე ბლოშმათაა წიგნები, კურსანტებმა კი არ იციან რუსული ენა. აქ საჭიროა დახმარება ცენტრალური ბიბლიოთეკისაგან.

ეწყობა კლუბიც, ახალ შენობაში გვაქვს ლამაზი სათეატრო დარბაზი. სცენა საჭიროებს მოწყობას, დეკორაციების უქონლობა გაგვიძნელებს საქმეს.

შტატების სივიწროვის გამო არა გვყავს მომდერალთა და სპორტწრეების ხელმძღვანელები.

ეს წრეები კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ სკოლისათვის, აქაც გვჭირია დახმარება სკოლის უფროსის მხრივ.

სამწყობრო ნაწილი ჩავარდა ძლიერ უხერხულ მდგომარეობაში. სკოლის შენობას არა აქვს სამეცადინო მოედანი. ეს გარემოება შეაფერხებს მეცადინეობის მსვლელობას და შეუშლის ხელს სამოსწავლო გეგმის განხორციელებას. გამოსავალი კი არის: სკოლის პირდაპირ, ორი ნაბიჯის მანძილზე, არის წითა. დროზოვან არმიის გარაჟი ამ გარაჟში მოთავსებულია უვარგისი, დამტვრეული სამბარგო ავტომობილები. გარაჟს უკავია მოზრდილი ეზო. საჭიროა, რომ ეს ავტომობილები გადატანილი იქნენ სხვა ადგილას და ეზო კი დაეთმოს სკოლას. სამწყობრო ნაწილის უფროსმა უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ ეს ეზო სასწრაფოდ იქნეს განთავისუფლებული, რათა მეცადინეობა არ შეფერხდეს.

ი—ი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲜᲗᲕᲘᲡ ᲐᲜᲑᲐᲜᲘ.

ᲛᲔ-6 ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘ.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲛᲔᲠᲛᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ

ᲛᲔᲠᲛᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ

ამხანაგებო, შვებულებაში მიმავალო არმიელებო, თქვენ კარგად იცით, თუ რამდენად ესაჭიროება განახლების გზაზე შემდგარ ჩვენს სოფლებს საქმის მცოდნე და შეგნებული პირები. სოფლებს საჭიროებათ ისეთი მომზადებული ხალხი, რომლებიც შესძლებენ ალღო აუღონ ყველა საქმეს და კეთილ სინდისიერად შეასრულონ ის. როდესაც სოფელი ასეთი საკითხის წინაშე სდგას, თქვენი ვალია:

როგორც გლეხის შვილები, მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამცველები, უნდა დაეხმაროთ სოფელს მისი აღორძინების საქმეში.

უპირველესი ყურადღება უნდა მიაქცეთ მეურნეობის გაუმჯობესების საქმეს, რადგანაც თუ სოფლის მეურნეობა ჩვენში მოიკოჭლებს ეს დიდი დანაკლისი იქნება ჩვენთვის.

შემდეგ არა ნაკლები საყურადღებოა კოოპერაციის საკითხი სოფლად, რადგანაც კოოპერატივი გლეხს ერთად ერთი მხსნელი დაწესებულებაა, რომ ის არ ჩავარდეს ჩარჩ ვაჭრების ხელში და არ გიყვლიფოს ის.

თქვენ უკვე გაცნობილი ხართ აქ ქალაქში, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს და რა სარგებლობა მოაქვთ კოოპერატივებს გამრავლებას მშრომელი ხალხისათვის.

უნდა მიაქციოთ ყურადღება (განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ არ არსებობს) ქოხ-სამკითხველოების გახსნას და მეტი ენერგიით იმუშაოთ ამ დარგში, რადგანაც სამკითხველოში შემომსვლელი გლეხი, გეზულობს გაზეთების, ჟურნალების და სხვა და სხვა მიუელტენების და კოდექსების საშვალებით თუ სიით მიისწრაფვის დღევანდელი ხელისუფლება, რა სარგებლობა მოაქვს მას „მშრომელი ხალხისათვის და რა ხდება მეზობელ სახელმწიფოების ბანაკში.

თქვენ უნდა ჩაითრიოთ ამხ. წითელ-არმიელებო, სოფლის ახალგაზრდობა ამ საქმეში, მათ უნდა აუხსნათ ყველაფერი რაც თქვენ შეგიასწავლეს და რაც უნდა გაეკეთოთ სოფლად. ამ დროს არ დაივიწყოთ არც თქვენი ამხ ნაგები, რომლებიც აქ ვარჩევით და გაზეთი „წითელი არმიელი“. მოგვაწოდეთ წერილები სოფლის მდგომარეობაზე, მიაწოდეთ წერილები გაზეთ „წითელ არმიელი“-ს რედაქციას, რომ მოგვეცეს საშვალება, მოგცეთ დახმარება, დარიგებით მაინც იმ საკითხებში, რომელიც ძნელი შესასრულებელი იქნება თქვენთვის.

მიაქციეთ ყურადღება ზოგიერთ სოფლის „ტიპების“ ცუდ მოქმედებებს, რომელიც ჩარეს სცხებენ პატიოსან ხალხს და რომელთა მოქმედება უკარგავს პროლეტიეს ხელისუფლებას გლეხების თვალში. ნუ იფიქრეთ, რომ ყოველივე ასეთი საქმის შემსრულებელი, რომელიც თქვენ უნდა შეასრულოთ ამხ. წითელ-არმიელებო დარჩეს უყურადღებოთ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ სოფელში ჩასვლის დროს დაწვრილებით აუხსნა სოფლის გლეხობას წითელი ჯარის მნიშვნელობა და მისი მიღწევები, თუ რა არის წითელი უაზარმა, სადაც თქვენ მიიღეთ ის ცოდნა, რომლითაც დაჯილდოვებული მიდიხართ სახლში; რისთვის გვჭირდება ჯარი და განსაკუთრებით ტერიტორიალური შემადგენლობა, უნდა გაგებინოთ გლეხს, რომ ტერიტორიალური ჯარი მეტი სასარგებლო არის, როგორც სახელმწიფოსათვის, ისე თვითონ გლეხისთვისაც, რადგანაც ტერიტორიალურ ნაწილში შემავალი უფრო დაახლოვებულია თავის სახლ-კართან; მას აქვს საშვალება გაუწიოს დახმარება თავის სახლის მოთხოვნილებასაც და ამავე დროს სამხედრო საქმეც შეისწავლოს.

ერთი სიტყვით ამხანაგებო შვებულნო! იმედია არ გაგვიმტყუნებთ იმედებს აქ დარჩენილ წითელ-არმიელებს რაც უმთავრესია არ გაუცრუვებთ იმედებს ჩვენს ხელისუფლებას და ყველა ზემოადნიშნულ კეთილ სინდისიერათ შეასრულებთ. რითაც დაუმტკიცებთ სოფლის გლეხობას, რომ წითელი უაზარმა ნამდვილად არის წითელი სკოლა და ცოდნის, განათლების წყარო.

გაუმარჯოს მიმავალ წითელ-არმიელებს.

სამხკორი მირ. ოდიშარია,

პარტიული ცხოვრება

ჩვენი პარტ-საქმიანობიდან.

მე-6 ლეგ. № 4 უჯრედი.

გასულ პარასკევს შესდგა მე-6 ლეგიონის მე-3 ასეულის მეოთხე კომუჯრედის კრება ქლენ-ახკომკავშირის წევრებთან ერთად.

დღის წეს-რიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები:

1. უჯრედის მდგომარეობის მოხსენება ჩატარებულ მუშაობის შესახებ, 2. კომ-უჯრედი და ნაწილის აღმშენებლობა, 3. პარტ-დავალებების განაწილება პარტ-ამხანაგებ შორის და 4. მიმდინარე საკითხები.

კომ-უჯრედის წარსულ მუშაობაზე მოხსენება გააკეთა უჯრედის პასუხისმგებელ მდივანმა, რომელმაც აღნიშნა თუ როგორი მუშაობა უწარმოებია უჯრედს დღიდან მისი ამორჩევისა კომუჯრედის მდივნად. მდივნის მუშაობა კრებამ ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად. კომუჯრედი და ნაწილის აღმშენებლობაზე ილაპარაკა ამხ. ლომაძემ, რომელმაც აღნიშნა თუ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღოს უჯრედმა ნაწილის აღმშენებლობაში. თვითეული კომპარტიის წევრი, კანდიდატი, ან ახ-ლენ-კომკავშირის წევრი მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყოს ყოველნაირი საქმიანობაში სხვა დანარჩენ უპარტიო წითელი არმიელებისათვის. მოხსენების დასრულების შემდეგ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, რომელშიდაც ნათქვამია, რომ პარტამხანაგების მთელი შემადგენლობა მიიღებს მხურვალე მონაწილეობას, ნაწილის თავისი სიმაღლეზე დასაყენებლად. შემდეგ განაწილებულ იქნა დავალებები ყველა პარტ-ამხანაგებზე, ზოგი მიმგარებული იქნა კარვებში ხმა-მაღალი კითხვის ჩასატარებლად, ზოგიც ბირთვებში სამუშაოდ, რის შემდეგ კრება დაიხურა.

პარტკორი ნ. ანი.

2-რე საკავშირო ასეული.

მე-2 ცალკე საკ. ასეულში საერთო შეკრების დღიდან ირიცხება 28 კომუნისტი 26 ახ. ლ. კ. კ. წევრები.

28 კომუნისტიდან 13 კ. ჰ. წევრია, 13 კ. ჰ. კანდიდატი.

აქედან საერთო შეკრებიდ ნ გამოწვეულია 11 კ. პარტიის წევრი, 6 კანდიდატი და 4 ახ. ლ. კ. კ. წევრი.

1902 წ. ცვალებადებიდან 1. კ. ჰ. წევრი და 11 ახ. ლ. კ. კ. წევრი, ძირეული შემადგენლობიდან 1. კ. ჰ. წევრი-9 კ. ჰ. კანდიდატი და 11 ახ. ლ. კ. კ. წევრები.

თუ აქამდე უჯრედს ყავდა მარტო მდივანი, ეხლა არჩეული იქნა ბიუროო სამი კაცისაგან.

6 სექტ. მოხდა კომუჯრედის კრება. არჩეული იქნა ბირო, დამტკიცებული უჯრედის მუშაობის ერთი თვის გეგმა, და აგრეთვე ახ. ლ. კ. კ. ჯგუფის გეგმაც. გაკეთებული იქნა მოხსენება „ტერ-პოლიტშემადგენლობის მოვალეობის შესახებ:

უჯრედი მთავარ ყურადღებას აქცევს სამანაკოთ ყოფნის დროს ყოველგვარ პოლიტ საგანმანათლებლო მუშაობას.

სოფელთან კავშირის გაბმისათვის უჯრედიდან გამოყოფილია ჯგუფის ხელმძღვანელები ჰ. საათებისათვის და სხვა. საერთოდ უჯრედი ძლიერ გამ. ცოცხლდა.

ტრანსპორტი.

3-ლეგიონის უჯრედი.

13 სექტემბერს შესდგა მესამე ლეგიონის 7-დე კომუჯრედის მორიგი ღია კრება, რომელსაც დაესწრო უჯრედის მთელი შემადგენლობა.

კრებამ მოისმინა ამხ. ინაშვილის მოხსენება, რევოლიუციონური კანონიერების განმტკიცების შესახებ, რომელმაც ვრცლად გაუშუქა თემის საგანი. მოხსენება საკმაოდ შინაარსიანი იყო და ხალხიც კმაყოფილი დარჩა. იყო მრავალი შეკითხვები და კამათიც.

მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქნა შესაფერი რეზოლიუცია.

წ. არმ. სოლოლაშვილი.

ახკომკავშირელთა შორის.

მეთაურთა სკოლა.

ამას წინად ქართულ მეთაურთა სკოლის სამწყობრო გუნდში შესდგა ახკომკავშირელთა საერთო კრება, რომელსაც დესწრო მთელი გუნდის შემადგენლობა. გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: დისციპლინის მინის, დეზერტირობის და საშეკორის ამორჩევის შესახებ. სკოლის უჯრედთან მჭიდრო კავშირი გვაქვს გამბული, რაც ხელს უწყობს ჯგუფის ენერგიულად მუშაობას. უკანასკნელ ხანებში უჯრედში შამოგვემატა ახალი ამხანაგები და მუშაობა ძლიერაც გაჩაღდა. წითელ არმიელებში დიდი მუშაობაა.

ისინი დიდათ არიან დაინტერესებული კავშირში წევრებად შამოსვლით.

ახკომრი სალაძე გიორგი.

ჩვენი ყოფა ცხოვრება.

1-ლი ლეგიონის მეორე ასეული.

ჩვენი ასეული შესდგებასპორტული, სანიტარული, და სულ ახალწვეული წითელ არმიელებისაგან. ნაწილში მოსვლისას, 65 პროცენტი წერა კითხვის უცოდინარი იყო, იმ თვითვე ყველა წერა-კითხვის უცოდინარები დაყოფილი იქნენ რამდენიმე ჯგუფად და დაიწყო სისტემატიური მეცადინეობა.

ამჟამად ყველას თამამად შეუძლია გაზეთის კითხვა. გვაქვს კარგათ მოწყობილი ლენინის კუთხე სხვა და სხვა განყოფილებებით. სამხედრო, ლენინის, პოლიტ-კული განყოფილებებით

გამოდის ორკვირეული კედლის გაზეთი „წითელი მხედარის სახელწოდებით წინა ნომრებზე გაცილებით უკეთესი შინაარსის.

მოგვდის სხვა და სხვა ჟურნალ გაზეთები. წითელ არმიელებიც იჩენენ მოყვითობას და ძლიერ ეწაფებიან გაზეთების კითხვას.

წ. არმ. კ. მინდიაშვილი.

გააფრთხილეთ მეკუჭნავე.

ცხენოსან ლეგ. საკავშირო ჯგუფი.

ლეგიონის საკავშირო ჯგუფის მეკუჭნავე ძლიერ ცუდათ ეპყრობა წითელ არმიელებს.

მისგან ვერ ვღებულობთ თავის დროზე შაქარს, და სხვა ხვედრ სურსათს.

თუ გავბედეთ და უთხარით რამე ისეთი მკაცრი სიტყვებით და ღანძღვა გინებით მოგვმართავს, რომ ვედარაფერს ვახერხებთ. ნეტა სანამდე უნდა გაგრძელდეს მისი ამგვარი თავხედობა?

საჭიროა გააფრთხილონ, რომ რიგიანად მოეპყრას წითელ-არმიელებს, თავის დროზე მისცეს მათი ხვედრი და ღანძღვა გინებას თავი გაანებოს.

წ. არმ. ცხენ-ნალი.

ჩვენი ბიბლიოთეკა.

მე-4-ხე ტერლეგიონი.

დღეს ჩვენი ბიბლიოთეკა ჯანმრთელათ სუნთქავს, მან ამ მოკლე ხნის განმავლობაში შესძლო ნდობის დამსახურება მთელ ლეგიონის შემადგენლობაში და სწორეთ ასეთ ნდობის დამსახურების შედეგი იყო ძველად-ბიბლიოთეკიდან დაკარგულ წიგნების თავის მოყრა.

ამხანაგებმა უკვე შეიგნეს, რომ ბიბლიოთეკა საერთოა და არა ერთ პიროვნების და ყველა ბიბლიოთეკიდან წასაკითხათ წაღებულ წიგნებს თავის დროზე აბრუნებენ უკან.

საერთო შეკრებამ საშუალება მოგვცა გამოგვეკვეა ამა თუ იმ ასეულებზე გაცემულ წიგნების მდგომარეობა სადაც დავინახეთ, რომ წიგნების დახვევას და დაკარგვას ადგილი არ ქონია. პირიქით წიგნების რიცხვი ზედმეტი ჩაგვბარეს, რომლებიც მიუღიათ ადგილობრივ ხელისუფლებიდან და საჭიროებდა მათი ლეგიონის ბიბლიოთეკის სანიტარო წიგნში გატარებას.

მე-3-მე ასეულმა ბიბლიოთეკას შესძინა 543 ცალი სხვა და სხვა დარგის წიგნები, რაზედაც ბიბსაბჭო მადლობას უცხადებს ასეულის პოლიტ-ხელს ამხ. გუბელაძეს და ენერგიული მუშაობისათვის ამხ. ლომაძეს რომლებიც ზრუნავდენ ბიბლიოთეკის საკეთილდღეოდ.

ტულუში.

მესანგრეთა ასეული.

ბანაკიდან დაბრუნების დღიდან 1-ლ ცალკე მესანგრე ასეულის ბიბ-გამგე შეუდგა საზამთრო შენობაში სამკითხველო—წიგნთსაცავის მოწყობის საქმეს.

როგორც პატარა ნაწილი საბიბლიოთეკო საქმე შესაფერად არის დაყენებული ასეულში, რაც აუცილებლივ მიეწერება გამგის ენერგიულ მუშაობას.

სამკითხველო ლამაზად არის მოორთული. თვით წიგნთსაცავში კი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს წითელ არმიელებზე ლენინის კუთხე, გარეშემო რევოლიუციის—ბელადების და მოწინავე ამხანაგების სურათებით.

საკითხავი წიგნები საკმაოდ მოიპოვება, როგორც სახვედრო, ისე სხვა ლიტერატურიდან.

ბიბ-გამგე ძლიერ ცდილობს რათა თავისი მოვალეობა ღირსეულად შეასრულოს და შესაფერ სიმაღლეზე დააყენოს ჩვენი ბიბლიოთეკა.

ალი.

ხელისუფლების მოღვაწეობა.

ა. კ. ცაკში.

— ა. კ. ცაკის მესამე სესია მოწვეულია ა. წ. დეკემბრისათვის.

— მატარებლების დამსხვრევისათვის პასუხისმგებლობა, ა.კ. რკ. გზებზე დაეკისრა რკ. გზის აგენტებს.

— შეღავათები გლეხთა სახლებს. საქ. ცაკის შუამდგომლობით ა. კ. ცაკმა გაანთავისუფლა საწარმოო გადასახადისაგან გლეხთა სახლებთან არსებული სასადილოები.

— საქველმომქმედო მარკების გავრცელების შესახებ, წინადადება მიეცა ფინსახკომს გამოიმუშავოს ცალკე წესი.

— ა. კ. ცაკთან დაარსდა საბჭოთა აღმშენებლობის და რაციონიზაციის კომისია.

— დაქირავებული შრომით სარგებლობის შესახებ გლეხურ მეურნეობაში ეკმ. შეტ-ცემებს.

— ღვინის მოსავალი. სახალხო მამულების ტრესტი წელს დაამზადებს 60 ათას ვედრო ღვინო.

— მიწის ჩამორთმევა. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, საქართველოში ზედმეტი მიწის მეპატრონეებს ჩამოერთვა 2. 265 დესეტინა მიწა.

— მოზარდთა დაქირავება. შრომის კომისარიატმა დამტკიცა დადგენილების გეგმა, მოზარდთა დაქირავების შესახებ.

— აგვისტოს განმავლობაში ტფილისის სასაკლაოებზე დამზადებულა და გასაღებულა 35. 005 ფუთი ხორცი.

— დაშავების შემთხვევ. ბ. აგვისტოს თვის განმავლ. ბაში ტფილისის წარმოებებ. მუშაობის დროს დაშავებულ. 80 მუშა.

— უზრუნველყოფის კ. მისარიატების სრულიათ საკ. შირო თათბირი მოწვეულ. თებერვალში, მოსკოვში.

მუშების ჯანმრთელობ. მუშა-მტვირთავების ადგილ. მმა შუამდგომლობა აღძრა მ. შა მტვირთავების ჯანმრთელ. ბის შემოწმების შესახებ.

— შავი ზღვის სანაპირ. ებზე დაწესდა წყლოსანთა შრ. მის ინსპექტორა. შრ. ინსპ. ტორათ დაინიშნა ამხ. ბრელ. ძე.

უცხოეთის არმიებში

ახალი ამერიკის ფლოტში.

ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტროს განზრახული აქვს ამ ახლო მომავალში მოახდინოს ახალი ხელსაწყოს გამოცდა, რომელსაც თუ მივახმართ რადიოს, მისი საშვალებით შესაძლებელი იქნება საგნების დანახვა. ამ ხელსაწყოს გამოცდით მიღებული დამაკმაყოფილებელი შედეგები, შესაძლებელს გახდიან რადიო ტალღების საშვალებით გადასცენ ყველა საჭირო საგნების გამოხატულება—სურათი.

საზღვაო მინისტრი ვოლბური ძლიერ დაინტერესდა ამ გამოგონებით და გასცა ბრძანება, რაც შეიძლება სიფრთხილით მოეპყრან მის გამოცდას. თუ ამ წესმა შესაძლებელი გახადა რადიო გამოხატულების პრაქტიკულად გამოყენება, მაშინ დაზვერვა და საარტილერიო სროლა დიდი მიღწევების წინაშე სდგანან. ავიაციაც დიდ უპირატესობას მიიღებს.

ეხლანდელ პირობებში შორ მანძილზე გასროლილ ზარბაზნიდან სროლის დროს მიღწეული შედეგებისათვის ნორმალურზე ზევით ხედვითი არის გადიდების საკითხს—უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ პარიზისკენ წარმოებული სროლა, 75 მილის მანძილიდან. ჰაეროპლანებიდან ცეცხლ. კორექტიროვკა. ასეთ შემ. ხვევების დროს შეიძლება ა. ჩეულ იქნას ყოველთვის დიდ. მიზანი და ამნაირად გასროლ. ლი ტყვია ყოველთვის მიდ. წევს თავია მიზანს.

საერთოდ უნდა ითქვას, რ. რაც უფრო გარკვეულად მ. სჩანს მიზანი, იმდენად ამისა. მიხედვით განისაზღვრება მ. ძლიერის გამორკვევა.

ცეცხლის კორექტიროვკ. უმთავრესი შემაფერხებელი მ. ზეზებია ატმოსფერული პირ. ბები და კვამლი. ამ პირობებ. შესაძენელად საჭიროა ჰაერ. პლანების მოხმარება, რის საკ. კეთესო მაგალითად უნდა ჩ. თვალოს იუტლანდიის ბრძ. ლა. თუ ეს რადიოტელეგრ. ფის ახალი აღმოჩენა გამოყ. ნებული იქნა პრაქტიკაში, მ. დიდი მნიშვნელობა მიეცემ. ტაქტიკის საქმეში.

სწორი ცნობების უქონლ. ბის გამო ძნელია ლაპარაკ. ამ აღმოჩენაზე, მაგრამ მის. უმთავრესი დაბრკოლება იქნ. ბა ის, რომ მანძილის გამორ. კვეა გაუჭირდება და მ. ღ. ბულ გამოხატულებაზე არ ი. ნება პერსპექტივა.

ჩვენი ფოსტა.

ამხ. ვანანაშვილს (სამხედრო სკოლა) თქვენი წერილი „ლიტ. წრე“ არ დაიბეჭდება.

ამხ. მაუზერს (1-ლ ლეგ. სკოლა) კორესპონდენცია „წეს. რიგი არ არსებობს“ არ გავა, დაუსაბუთებელია.

ამხ. სოლოლაშვილს (3-მე ლეგიონი) წერილი „გამოასწო. რეთ ნაკლი“ არ დაიბეჭდება.

ამხ. გონგლაძეს (პირველი ლეგ). თქვენი კორესპონდენცი. „კავშირი მუშებთან“ არ დაიბეჭდება. ასეთი გავიდა ჩვ. გაზეთში.

ამხ. კაცელს (1-ლი არტლეგ.) წერილი „წესდება-წესდებ. მიხედვით უნდა სრულდებოდეს“ გადაეცა შესაფერ ად. გილზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.